უნისონი
სადაზღვევო კომპანია

# საინფორმაციო ფურცელი

# INFORMATION SHEET

დეპონირებული ხელშეკრულების #:

N221548316

# საინფორმაციო ფურცელი
# Information Sheet

აღნიშნული საინფორმაციო ხასიათის ფურცელი წარმოადგენს არაამომწურავ ინფორმაციას დაზღევის პირობების შესახებ და არ არის დაზღვევის ხელშეკრულების იდენტური იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი.
საინფორმაციო ფურცლის გაცნობა და მასთან დაკავშირებული განმარტებების გაკეთება არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს და, შესაბამისად, მოთხოვნებს მხარეთა შორის.

This Information Sheet is an inaccurate information on insurance terms and conditions and is not a document having legal force equal to the Insurance Agreement. Familiarization with the information sheet and making explanations related thereto shall not produce legal consequences and, therefore, claims between the parties.

| მზღვეველის დასახელება<br>INSURER'S NAME | დაზღვევის ხელშეკრულების სახე<br>TYPE OF INSURANCE |
| --- | --- |
| სს "სადაზღვევო კომპანია უნისონი"<br>JSC Insurance Company Unison | ავტოტრანსპორტის მართვასთან დაკავშირებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა<br>Motor third liability liability insurance |

## დაზღვეულის რისკის აღწერილობა და სადაზღვევო დაფარვის პირობები

- ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მე-3 პირის (გარდა მძღოლისა და მგზავრებისა) სიცოცხლეზე, ჯანმრთელობაზე და/ან ქონებაზე ზიანის დადგომა

## პრემიის, გარდა მომხმარებლის მიერ ნებისმიერი სხვა ფინანსური ხარჯის გაწევის წინაპირობები, ოდენობა და წესი

- დაზღვევის ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში ფინანსური ხარჯის გაწევის წინაპირობები და ოდენობა იხილეთ ხელშეკრულების მე-4 პუნქტში.

- დამზღვევს/დაზღვეულს უფლება აქვს, ყოველგვარი საფუძვლის მითითების, ჯარიმისა და ზედმეტი გადასახადის გარეშე, უარი თქვას ხელშეკრულებაზე დაზღვევის ხელშეკრულების დისტანციურად ან სარეწის გარეთ დადების შემთხვევაში–მისი დადებიდან 14 დღის ვადაში.

- **აღნიშნული პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება:**

ა) იმ მომსახურებაზე, რომლის ფასი 30 ლარს არ აღემატება;
ბ) სადაზღვევო ხელშეკრულებებზე, რომელთა მოქმედების ვადა უარის თქმის უფლების პერიოდზე ნაკლებია;
გ) ძირითად ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ დაზღვევის ხელშეკრულებაზე, როდესაც

## INSURED RISKS AND COVERAGE TERMS

- Damage to the life, health and/or property of a 3rd person (except the driver and passengers) as a result of a car accident

## PREREQUISITES, AMOUNT AND MANNER OF PAYMENT OF THE PREMIUM OTHER THAN BY THE CONSUMER FOR ANY OTHER FINANCIAL EXPENSE

- In case of early termination of the insurance term, see the prerequisites and the amount of the financial expenses in clause 4 of the contract.

- The insurd/policyholder has the right, without specifying any reason, paying penalty or additional fee, to refuse the contract in case of concluding insurance contract electronically - remotely or off-trade - within 14 days from its conclusion.

- **This clause does not apply to:**

a) The services that price does not exceed 30 GEL;
b) The insurance contracts, the validity period of which is less than the period of the right of refusal;
c) The insurance contract related to the main contract, when the main contract does not include the right of refusal;

ძირითადი ხელშეკრულება არ მოიცავს უარის თქმის უფლებას;
**დ)** დაზღვევის ხელშეკრულებაზე, რომლის ფასი დამოკიდებულია ფინანსურ ბაზარზე განხორციელებულ ცვლილებაზე, რაც მზღვეველის კონტროლს არ ექვემდებარება და რასაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების გამოყენების ვადის განმავლობაში;
**ე)** თუ დამზღვევმა/დაზღვეულმა, ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების ვადის გასვლამდე, პირდაპირ და მკაფიოდ მოითხოვა, დაზღვევის ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით, მომსახურების მიღება და მზღვეველმა მიაწოდა ინფორმაცია, რომ შესაბამისი მომსახურების მიღებით იგი კარგავს უარის თქმის უფლებას.

ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში დამზღვევა/დაზღვეულმა მზღვეველს უნდა მიმართოს ელექტრონულ ფოსტაზე unison@unison.ge, მატერიალურად წარმოადგინოს განცხადების ფორმით მზღვეველის მისამართზე (ქ. თბილისი დ. გამრეკელის ქუჩა 19/ ქ. ბათუმი, დემეტრე თავდადებულის ქ. 31) ან ელექტრონულად შეავსოს მზღვეველის ოფიციალურ საიტზე მითითებული ზემოაღნიშნული განცხადების ფორმა.

**d)** The insurance contract, the price of which is carried out of the changes towards the financial market, which is not the subject to the control of the insurer and may take place during the term of using refusal right;
**e)** if insurd/policyholder, before the expiration of the right to refuse the contract, taking into account the insurance terms, directly and clearly requested, to receive the service and the insurer has provided information that by receiving the relevant service, the insurd/policyholder loses the right of refusal.

In case of refusal of the contract, the policyholder/insured is obliged to notify the insurer by e-mail unison@unison.ge, send the notification materially in the form of an application to the address of the insurer (Tbilisi, D. Gamrekeli str. 19/ Batumi street Demetre Tavdadebuli str. 31) or fill it electronically on the official website of the insurer, specified in the above application form.

## ფრანშიზის სახე, ოდენობა და გამოყენების წინაპირობები/ PREREQUISITES, AMOUNT AND TYPE OF DEDUCTIBLE სადაზღვევო პოლისის შესაბამისად/ACCORDING TO THE INSURANCE POLICY

### დაზღვევის გამონაკლისი, პირობების სრულყოფილი ჩამონათვალი

- ავტოტრანსპორტს მართავდა ალკოჰოლური, ფსიქოტროპული ან ნარკოტიკული საშუალებების ან ისეთი სამკურნალო პრეპარატების ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირი, რომლებიც უკუჩვენებაშია ავტოტრანსპორტის მართვასთან;
- ავტოტრანსპორტს მართავდა მართვის 1 წლამდე გამოცდილების ან/და მართვის უფლების ან მოცემული კატეგორიის ავტოტრანსპორტის მართვის უფლების არ მქონე პირი;
- ავტომობილი გამოიყენება მგზავრების გადაყვანის (ტაქსი) მიზნებისათვის;
- ტექნიკურად გაუმართავი ავტოტრანპორტის ექსპლუატაციისას ან რომელსაც დროულად არ გაუვლია სავალდებულო (ასეთი მოთხოვნის არსებობისას) ტექნიკური დათვალიერება, აგრეთვე იმ ავტოტრანპორტის ექსპლუატაციისას, რომელსაც გააჩნია გაუმართაობები, რომელთა არსებობისას აკრძალულია მოძრაობა საგზაო უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- ავტომობილი გამოყენება ხდება შეუსაბამო საგზაო პირობებში;
- ზარალი გამოწვეულია მძღოლის თვითმკვლელობის მცდელობით;
- ზარალი გამოწვეული სახიფათო ნივთიერების ტრანსპორტირება (რადიაციული, ატომური, ბირთვული);
- ზარალი გამოწვეული საომარი მოქმედებებით, ტერორისტული აქტით;
- არ ანაზღაურდება დამზღვევის/დაზღვეულის ქონებაზე დამდგარი ზარალი.
- ზარალი გამოწვეულია საპირისპირო მიმართულების

### INSURANCE EXCLUSIONS, FULL LIST OF CONDITIONS

- the vehicle was driven by the individual under influence of alcohol, psychotrophic substances, drugs or such medications which are in counter indication with driving vehicles;
- 7.2.the vehicle was driven by individual with driving experience up to 1 year, and/or having no driving licence, or license for driving the given category of vehicle
- the vehicle is used for transportation of passengers (taxi);
- during operation of the vehicle with technical defects or which failed to pass the mandatory technical inspection (if any) timely, as well as during operation of vehicles with faults under which operation is prohibited pursuant to traffic safety laws of Georgia;
- the vehicle is used in irrelevant road conditions;
- loss caused as a result of the suicide attempt of the driver;
- loss caused as a result of participating in car races and other sports events;
- loss caused due to transportation of hazardous substances (radiation, atomic, nuclear)

სამოძრაო ზოლში საგზაო მოძრაობის წესების დარღვევით მოძრაობისას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს გამოწვეულია მესამე პირის სიცოცხლის და/ან ქონების გადარჩენის აუცილებლობით

- ზარალი მიყენებულია დაზღვეული პირის ქონებისთვის;
- ზარალი მიადგა მესამე მხარის ქონებას, როდესაც ხდებოდა ამ ქონების ტრანსპორტირება დაზღვეულის ავტომობილით;
- მესამე მხარის ქონება იმყოფებოდა დამზღვევის/დაზღვეულის მეთვალყურეობის ქვეშ (ამ უკანასკნელს ჰქონდა მიბარებული);
- სადაზღვევო შემთხვევა შედეგად მოყვა ავტოტრანსპორტის, როგორც ტვირთის ტრანსპორტირებას, ნებისმიერი სახის ტრანსპორტით, მათ შორის ლაფეტით გადაზიდვას ან ბუქსირით გადაადგილებას;
- ზარალი წარმოიშვა ავტომობილის აეროპორტში, აეროდრომზე ან იმ მონაკვეთზე ყოფნისას, რომელიც გამოიყენება თვითმფრინავების ასაფრენ-დასაფრენად, სადგომად ან საბაჟო შემოწმებისთვის;
- მოთხოვნილია ნებისმიერი სახის მორალური ზიანი.

დამზღვევის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი პრემიის გადახდის წესის პირველივე დარღვევის შემთხვევაში (პრემია და/ან მისი ნაწილი დროულად ან დადგენილი ოდენობით არ იქნა გადახდილი) მზღვეველი თავისუფლდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან. მზღვეველი უფლებამოსილია შეაჩეროს ხელშეკრულების მოქმედება და არ აანაზღაუროს სადაზღვევო შემთხვევები გრაფიკის დარღვევის დღიდან 14 კალენდარული დღის შემდეგ, ყოველგვარი შეტყობინების გარეშე, დამზღვევის მიერ ფინანსური ვალდებულების სრულად შესრულებამდე. სადაზღვევო ხელშეკრულება განახლდება მხოლოდ დამზღვევის მიერ პრემიის გადახდის შემდეგ. დავალიანების დაფარვის შემდგომ მზღვეველი დავალიანების პერიოდში დამდგარ შემთხვევებს აღარ განიხილავს სადაზღვევო შემთხვევად და ამ პერიოდში დამდგარი მომსახურება მზღვეველის მიერ ანაზრაურებას არ დაექვემდებარება.

## სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მზღვეველისთვის შეტყობინების გაგზავნის, მოთხოვნის წარდგენის,სადაზღვევო შემთხვევის რეგულირების და სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ფორმა და ვადები

- **იხილეთ ხელშეკრულების 8, 9 პუნქტებში**

- loss caused as a result of war and terrorist acts;
- loss of the Insured's property is not reimbursed.
- loss caused while driving in the opposite lane in violation of traffic rules, except for cases when the same is necessary for saving the third party's life and/or property;
- loss of the Insured's property;
- Loss of the third party's property when such property was being transported using the vehicle of the Insured
- Third party's property was under supervision of the Insured (under custody of the Insured);
- Accident occurred as a result of transportation of the vehicle using any means of transport including transportation by carriage or towed;
- Loss occurred during the presence of the vehicle in the airport, airfield or the section used as the runway, parking or customs clearance of airplanes;
- Any type of moral damage is claimed.

In the event of failure by the Insured to pay the premium within the period and in the amount as indicated in the Policy, the Insured shall, no later than 14 (fourteen) calendar days from such breach, remedy the breach and pay the premium due in full. Failure to do so, the Insurer shall be released from the obligation to pay reimbursement for the Insurance Accident after expiration of such term, without any additional notification to the Insured. Besides, the Parties agree that upon expiration of such 14 (fourteen) days period, the Insurer shall be entitled to terminate this Agreement / Policy with one month notice and request the Insured to pay the premium due as well as reimbursement of incurred damage (if any).

## FORMS, TERMS AND DATES REGARDING TO THE NOTIFICATION, TO BE SENT TO THE INSURER, SUBMITTING A CLAIM FORM, OF THE INSURANCE ACCIDENT REGULATION AND ISSUANCE OF INSURANCE REIMBURSEMENT

- **Please See clauses 8, 9 of the agreement**